სახელმწიფო აუდიტის სამსახური

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "

საერთო დანიშნულების
სახელმწიფო
მომსახურების სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ფრიდონ შენგელია

„---21--“ --03--- 2017 წელი

ეგზ. N1

მასობრივი სპორტის განვითარება

ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში N13/36

2017 წელი

სარჩევი

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები 3

შემაჯამებელი მიმოხილვა 4

1.შესავალი 6

აუდიტის მოტივაცია 6

აუდიტის მიზანი და კითხვები 7

აუდიტის მასშტაბი და მეთოდოლოგია 7

აუდიტის კრიტერიუმები 9

2.ზოგადი ინფორმაცია აუდიტის სფეროს შესახებ 10

2.1 სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი 10

2.2 სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო 10

2.3 სპორტისათვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა 12

2.4 ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოები 12

2.5 სპორტული ინფრასტრუქტურა საჯარო სკოლებში 13

აუდიტის მიგნებები 15

3 საჯარო სკოლებში სპორტის გაკვეთილები 15

3.1 სპორტის მასწავლებლების არასათანადო კვალიფიკაცია 15

3.2 შემცირებული სპორტის საათები სკოლებში 16

3.3 არასაკმარისი სპორტის საათები საჯარო სკოლებში 19

4. მოსახლეობის ჩართულობა ფიზიკურ აქტივობებში 21

4.1 სახელმწიფო სპორტული ინფრასტრუქტურის არასრული დატვირთვა 21

4.2 სახელმწიფო ინიციატივის ნაკლებობა მოსწავლეების ფიზიკურ აქტივობებში სათანადოდ ჩართვის მიზნით 25

შემაჯამებელი დასკვნა და რეკომენდაციები 28

ბიბლიოგრაფია 30

დანართები 32

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები

სპორტის სამინისტრო-საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

განათლების სამინისტრო-საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

შემაჯამებელი მიმოხილვა

სპორტი და ფიზიკური აქტივობა მნიშვნელოვანი ფაქტორია ჯანსაღი საზოგადოების ჩამოყალიბების, სადაც სახელმწიფო არსებით როლს ასრულებს ქვეყანაში სათანადო სპორტული გარემოს შესაქმნელად. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო და მუნიციპალიტეტები ახორციელებენ სხვადასხვა აქტივობებს აღნიშნული მიმართულებით, თუმცა იმისთვის, რომ პიროვნებას ბავშვობიდან საფუძვლიანად ჰქონდეს სპორტის და ფიზიკური აქტივობის მნიშვნელობა გააზრებული, განათლების სამინისტროს ქმედებები, საჯარო სკოლებში მოსწავლეებისთვის სათანადო ხარისხის სპორტის გაკვეთილების ჩატარების უზრუნველსაყოფად ასევე აუცილებელია.

ეფექტიანობის აუდიტის ობიექტებს წარმოადგენდნენ: საქართველოს განათლების მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, ასევე გორის, თელავის, ზუგდიდის, ქუთაისის და ფოთის მუნიციპალიტეტები.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლებში, ხშირ შემთხვევებში სპორტის გაკვეთილებს ასწავლიან მასწავლებლები, რომლებსაც განათლება მიღებული არ აქვთ სპორტის განხრით, რაც უარყოფითად აისახება სპორტის გაკვეთილების ხარისხზე და შესაძლოა არასწორმა ფიზიკურმა დატვირთვამ გამოიწვიოს სხვადასხვა ფიზიკური დაზიანებები. ასევე მნიშვნელოვანია, რომ საჯარო სკოლების გარკვეული რაოდენობა სხვადასხვა სასწავლო საფეხურზე იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ დაშვებას და ამცირებს სპორტისთვის განკუთვნილ საათობრივ კვირეულ განაკეთს ერთ საათამდე ორის ნაცვლად მაშინ, როდესაც სპორტის შესახებ კანონით და სხვადასხვა ევროპული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით დადგენილი სპორტული გაკვეთილების საათობრივ განაკვეთები აღემატება საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგემით დამტკიცებულ 2 საათს.

მოსახლეობის ფიზიკურ აქტივობასა და სპორტში ჩართულობა შერჩეული მუნიციპალიტეტების სახელმწიფო სპორტული ინფრასტრუქტურის ფარგლებში არის მცირე და მერყეობს 6 %-მდე, თუმცა აღნიშნულ სპორტულ ობიექტებზე დარეგისტრირებულ პირთა რაოდენობამ და ფიზიკური აქტივობების საათობრივმა განაკვეთმა ცხადყო თავისუფალი სავარჯიშო განრიგის არსებობა, რაც შესაბამისად მოსახლეობის რაოდენობის გაზრდის საშუალებას იძლევა. ამავდროულად არსებობს სპორტული ინფრასტრუქტურით გაუმართავი საჯარო სკოლები, რომლებიც არ მიმართავენ ალტერნატიულ რესურსებს, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის სახით, რაც საშუალებას მისცემდა მოსწავლეების გარკვეულ რაოდენობას მიეღო აუცილებელი სათანადო ფიზიკური აქტივობა სპორტული გაკვეთილების სახით.

მასობრივი სპორტი თავისი ბუნებით წარმოადგენს კომპლექსურ დარგს და საჭიროებს მჭიდრო თანამშრომლობას სხვადასხვა უწყებებთან, როგორც ცენტრალურ ასევე

ადგილობრივ დონეზე. არსებული მდგომარეობის ფონზე საზოგადოების ჩართულობა ფიზიკურ აქტივოვებებში დაბალია და სახელმწიფოს მხრიდან საჭიროებს მეტ კოორდინირებულ ღონისძიებებს მიმდინარე გამოწვევების ფარგლებში.

ანგარიშში აღწერილია მასობრივი სპორტის მიმართულებით არსებული მდგომარეობა და გამოვლენილი ნაკლოვანებები, რომელთა გადასაჭრელად გაცემულია რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციების შესრულება ზემოთ ხსენებული უწყებების მიერ, ხელს შეუწყობს ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდას და მოსახლეობაში სპორტული ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

1.შესავალი

აუდიტის მოტივაცია

ფიზიკური აქტივობისა და სპორტის მიზანია პიროვნების მრავალმხრივი განვითარება. აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად აუცილებელი კრიტერიუმია, რომ მოზარდი ადრეული ასაკიდან იყოს ფიზიკურად დატვირთული და აგრეთვე აცნობიერებდეს მის აუცილებლობას, რომელიც დაეხმარება შემდგომში საკუთარი ფიზიკური უნარების გამოვლენაში, ფსიქო-ფიზიკურ განვითარებაში, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაში.

არაგადამდები ავადმყოფობების განვითარების, როგორიცაა სისხლის მიმოქცევის სისტემის, კიბოს, დიაბეტის, ქრონიკული რესპირაციული დაავადებების, ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს არასაკმარისი ფიზიკური აქტივობა და ჭარბი წონა, ხოლო ფიზიკური აქტივობა ხელს უწყობს აღნიშნული დაავადებების პრევენციას და აუმჯობესებს სიცოცხლის ხარისხს.

საქართველოში სიკვდილიანობის 94% განპირობებულია არაგადამდები დაავადებებით და ტრავმებით, საიდანაც 69% გულ-სისხლძარღვთა დაავადებებზე მოდის და არსებით სოციალურ-ეკონომიკურ ზიანს აყენებს ქვეყანას[1]. „დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“[2] 2014 წლის სტატისტიკური ცნობარის მიხედვით არგადამდები ავადმყოფობების განვითარებას საფუძვლად უდევს მოდიფიცირებადი რისკ-ფაქტორები, რომელთა შორის ერთ-ერთს წარმოადგენს არასაკმარისი ფიზიკური აქტივობა.

აუდიტის დაგეგმვის ეტაპზე გამოიკვეთა ინდიკატორები, რომლებიც მასობრივი სპორტის სფეროში არსებულ ნაკლოვანებებზე მიუთითებენ. მასობრივი სპორტის განვითარების სტრატეგია სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ აუდიტის დასრულების პერიოდამდე არ შემუშავებულა, რაც შესაძლოა მიუთითებდეს განხორციელებული ღონისძიებების და მასობრივი სპორტის განვითარების არასისტემურ მიდგომაზე. აღნიშნული უარყოფით გავლენას ახდენს საბოლოო შედეგისა და პროცესის გასაუმჯობესებლად მიმართული საერთო მიზნის დროულად მიღწევაზე, რადგან მასობრივი სპორტის განვითარება მოსახლეობის ფიზიკურ აქტივობებში და სპორტში ჩართულობის უზრუნველყოფისა და ზრდის არსებითი განმსაზღვრელი ფაქტორია.

ჩატარებული ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევები[3][4], რომლის საფუძველზეც შესწავლილი იყო საქართველოში სპორტული გარემო, მოსახლეობის ფიზიკურ აქტივობებში მონაწილეობის დონე, სპორტული ინფრასტრუქტურა და საგანმანათლებლო

---

[1] საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის 2014 წლის სტატისტიკური ცნობარი. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

[2] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო

[3] GESOMAR-საქართველოს სოციალური და მარკეტინგული კვლევების ცენტრი. საზოგადოებრივი აზრის კვლევა სპორტთან მიმართებაში, 2013 წლის აგვისტო-სექტემბერი.

[4] Enlarged Partial Agreement on Sport. Draft Report of the consultative visit in Georgia on the European Sports Charter, Strasbourg , 9 October 2015.

სფერო მიუთითებს მასობრივი სპორტის ირგვლივ არსებულ ხარვეზებზე, როგორიცაა მოსახლეობის მცირე რაოდენობით ჩართულობა სპორტულ აქტივობებში და სპორტის მიმართ ინტერესის ნაკლებობა.

მოსახლეობის მცირე რაოდენობით ფიზიკურ აქტივობებში ჩართულობის ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორად შესაძლოა მიჩნეული იქნეს სასპორტო საგანმანათლებლო სისტემაში არსებული ხარვეზები, რომელიც არაერთხელ ითქვა მედიის და შესაბამისი ოფიციალური ინფორმაციის საშუალებებით.

აუდიტის მიზანი და კითხვები

აუდიტის მიზანია შეაფასოს, რამდენად უზრუნველყოფს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მოსწავლეების სპორტის გაკვეთილებში ჩართულობას, საჯარო სკოლებში სპორტულ ინფრასტრუქტურასთან მიმართებით არსებული გამოწვევების გათვალისწინებით.

რამდენად პროდუქტიულად ხდება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის მასობრივი სპორტის მიმართულებით გამოყენება მუნიციპალიტეტებისა და სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ.

ქვეყანაში მასობრივი სპორტის განვითარების მიზნით, რამდენად ხორციელდება კოორდინირებული ქმედებები სახელმწიფოს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მხრიდან.

პრობლემების გამომწვევი მიზეზების გამოსავლენად და შესაბამისი რეკომენდაციების ჩამოსაყალიბებლად აუდიტმა უნდა უპასუხოს შემდეგ კითხვებს:

< რამდენად საკმარისია სკოლებში მოსწავლეების ფიზიკურ აქტივობებში ჩართულობა?
< რამდენად პროდუქტიულად გამოიყენება სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტების საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურა?
< რამდენად ხდება მასობრივი სპორტის განვითარების მიზნით აქტივობების დაგეგმვის და შესრულების კოორდინაცია სახელმწიფოს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მხრიდან?

აუდიტის მასშტაბი და მეთოდოლოგია

აუდიტის კითხვებზე პასუხის გასაცემად სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა 2014-2016 წლების პერიოდი. აუდიტის ობიექტებს წარმოადგენენ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, როგორც სპორტის სფეროში მთავარი პოლიტიკის და მიმართულებების განმსაზღვრელი და განმახორციელებელი უმაღლესი სახელმწიფო ორგანო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რომელიც უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლებში ზოგადი განათლების სრულყოფას და თვითმმართველი ქალაქები-მუნიციპალიტეტები,

რომლებიც დამოუკიდებლად ატარებენ სპორტულ ღონისძიებებს და ამავდროულად ააიპ-ების მეშვეობით ახორციელებენ მათ ბალანსზე რიცხული სპორტული ობიექტების მართვას.

საქართველოს მასშტაბით არსებული 12 თვითმმართველი მუნიციპალიტეტიდან შეირჩა თელავი, გორი, ქუთაისი, ფოთი და ზუგდიდი. შერჩევის საფუძველს წარმოადგენდა მუნიციპალიტეტების მდებარეობა და მოსახლეობის რაოდენობა სხვადასხვა რეგიონის მიხედვით. შერჩევაში ასევე გათვალისწინებული იყო ის მუნიციპალიტეტები, რომლის ბალანსზეც არსებობდა სპორტის სხვადასხვა სახეობისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა.

გამოყენებული იყო ანალიზის სხვადასხვა ტიპები, კერძოდ;

- ინტერვიუები აუდიტის ობიექტებთან: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლები, შერჩეული მუნიციპალიტეტები, მუნიციპალიტეტებთან არსებული ააიპ-ები, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, ააიპ საქართველოს ეროვნული ფედერაცია სპორტი ყველასათვის;
- მონაცემთა ბაზების ანალიზი;
- მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შესწავლა და ანალიზი;

საჯარო სკოლებში სპორტული გარემოს შესაფასებლად, აუდიტის ჯგუფმა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მოიპოვა ინფორმაცია საჯარო სკოლებში მოსწავლეების და კლასების რაოდენობის, სპორტის გაკვეთილების საათობრივი განაკვეთის, სპორტული ინფრასტრუქტურის მდგომარეობისა და აგრეთვე სპორტის მასწავლებლების კვალიფიკაციის შესახებ.

მოსახლეობის სპორტულ აქტივობებში ჩართულობის განსაზღვრის მიზნით, მოწოდებულ მონაცემებზე და ფოტო-მასალებზე დაყრდნობით, შეფასდა შერჩეული მუნიციპალიტეტების ბალანსზე რიცხული სპორტული ინფრასტრუქტურის მდგომარეობა და არსებულ ინფრასტრუქტურაზე რეგისტრირებულ პირთა რაოდენობა სხვადასხვა სპორტულ წრეებში, საათობრივი განრიგის მიხედვით. ასევე შეფასდა, თუ რამდენად იყო შესაძლებელი, აღნიშნული სპორტული დარბაზების მდგომარეობის გათვალისწინებით, შერჩეული მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლებში, სპორტის გაკვეთილების სათანადოდ ჩატარება.

აუდიტის პროცესში აგრეთვე გაანალიზდა, თუ რამდენად კოორდინირებულად ხორციელდება ღონისძიებები სახელმწიფოს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ, მოსახლეობაში სპორტის პოპულარიზაციის და მათი სპორტულ აქტივობებში ჩართვის მიზნით.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის პროცესში კრიტერიუმად გამოყენებულია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა და გაერთიანებული ერების კავშირის სახელმძღვანელო, ჯანმრთელობის გაუმჯობესება ფიზიკური აქტივობების მეშვეობით[5], ასევე ევრო კომისიის დოკუმენტი, რომელიც ეხება ევროპის სხვადასხვა ქვეყნების სკოლებში სპორტისა და ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებს[6]. ევრო საბჭოს რეზოლუცია, სპორტი ყველასათვის პრინციპები.

ქვეყანაში მასობრივი სპორტის განვითარების მიმართულებით, სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურების მიერ განხორციელებული ქმედებების შესაფასებლად გამოყენებული იქნა შემდეგი საკითხები:

- ეროვნულ სასწავლო გეგმაში, ფიზიკური აღზრდისა და სპორტისთვის განკუთვნილი საათობრივი განაკვეთები;
- ზოგადი განათლების შესახებ კანონით, სპორტის მასწავლებლებისთვის განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნა;

კრიტერიუმების წყაროებად განისაზღვრა:

› საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები;
› უცხოური და ადგილობრივი კვლევების შედეგები;
› სხვა ქვეყნებში მასობრივი სპორტის მართვის კუთხით არსებული გარემო და სისტემა;
› საუკეთესო პრაქტიკა;
› ევროპის ქვეყნებში სპორტის გაკვეთილების სისტემა;

[5] http://ec.europa.eu/transparency/regexpert/index.cfm?do=groupDetail.groupDetailDoc&id=19860&no=1
[6] http://eacea.ec.europa.eu/education/eurydice/documents/thematic_reports/150en.pdf

2.ზოგადი ინფორმაცია აუდიტის სფეროს შესახებ

2.1 სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი

სპორტის სფეროში ძირეული რეფორმების განხორციელების მიზნით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით შემუშავდა 2014-2020 წლების სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრა სპორტის განვითარების სტრატეგია საიდანაც აღსანიშნავია შემდეგი მიმართულებები[7];

- სკოლამდელ დაწესებულებებში ფიზიკური აღზრდა და განათლება;
- მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა;
- სპორტის, როგორც უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური ფენომენის, ერთიანი ეროვნული სისტემის ჩამოყალიბება;
- სპორტული ინფრასტრუქტურა;

სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია სპორტის განვითარების აუცილებლობაზე, მოსახლეობაში ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად და მაღალი მიღწევების სპორტისთვის საფუძვლის ჩასაყრელად, ასევე სპორტული ნიჭის მქონე ბავშვების გამოსავლენად. დოკუმენტში აღწერილია სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები მასობრივი სპორტის განვითარების კუთხით, როგორიცაა;

- სასკოლო სპორტის განვითარების სტრატეგია;
- საუნივერსიტეტო სპორტის განვითარების სტრატეგია;
- მასობრივი სპორტის განვითარების შესაბამისი სტანდარტების დადგენა და სხვა;

2.2 სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

სპორტის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებსა და პრიორიტეტებს განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტი[8], ხოლო სახელმწიფო მართვას ახორციელებს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო. სახელმწოფო ხელს უწყობს სპორტის განვითარებას და ამ მიზნით გამოყოფს საბიუჯეტო სახსრებს. სამინისტროს საქმიანობა მოიცავს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროებს, საიდანაც აღსანიშნავია შემდეგი[9]:

< სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროებში ქვეყნის ერთიანი პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შემუშავება, დაგეგმვა და მისი რეალიზების კოორდინაცია;

7შემუშავებული საქართველოს მთავრობის მიერ 2013 წლის 22 მაისის N127 დადგენილებით დამტკიცებული სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის ხელშემწყობი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოსა და შესაბამისი თემატური ჯგუფების მიერ.

8 საქართველოს კანონი სპორტის შესახებ.

9 საქართველოს მთავრობის 2010 წლის 7 ივლისის N183 დადგენილება, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ.

- < თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროში სახელმწიფო პროგრამების შემუშავება და შესაბამის უწყებებთან ერთად მათი განხორციელება;
- < სისტემატური ინფორმაციის მიღება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროებში განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ;
- < სპორტის სფეროში საყოველთაოობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტრო, როგორც სპორტის სფეროში სახელმწიფო მართვის ორგანო უზრუნველყოფს ქვეყნის მასობრივი სპორტის განვითარებას, რომელიც სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტით განისაზღვრა ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად. მასობრივი სპორტის მიზანია ხელი შეუწყოს სპორტის ხელმისაწვდომობასა და სპორტული შესაძლებლობის მქონე ბავშვების გამოვლენას.

სპორტის პოლიტიკისა და მასობრივი სპორტის განვითარება ხორციელდება სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ. ბიუჯეტიდან მიღებული თანხა სამინისტროდან ერიცხება არასამეწარმეო არაკომერციულ იურიდიულ პირებს (ააიპ), რომლებიც არიან პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული ღონისძიებების განმახორციელებლები, როგორიცაა: სასკოლო ოლიმპიადა, სპორტის სხვადასხვა სახეობებში სამოყვარულო ლიგის და ტურნირების ჩატარება და სხვა. ააიპ-ები შემდგომში სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარუდგენენ ანგარიშს და პირველად დოკუმენტაციას ჩატარებული ღონისძიების მიზნობრიობისა და მიღებული დაფინანსების ხარჯვის შესახებ.

მასობრივი სპორტის ფარგლებში გამხორციელებული ღონისძიებების სქემა 2-1;

2.3 სპორტისათვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა

საქართველოში მომხდარმა წარსულმა მოვლენებმა უარყოფითი გავლენა იქონია სპორტის, როგორც ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებაში[10]. განადგურდა ინფრასტრუქტურის უდიდესი ნაწილი, რომლის შედეგია სკოლებსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სპორტული ინფრასტრუქტურის ნაკლებობა ან ზოგ შემთხვევებში არ არსებობა. სახელმწიფო საჭიროებს როგორც არსებული ინფრასტრუქტურის აღდგენა-განახლებას, ასევე ახალი ობიექტების მშენებლობას. აღსანიშნავია, რომ 2015 წელს შეიქმნა სახელმწიფო კომისია, რომელსაც დაევალა საქართველოში სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნობრივი პროგრამის დამტკიცება და განხორციელება[11]. პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოში გასამართი მასშტაბური საერთაშორისო სპორტული ღონისძიებებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობას, საქართველოში სპორტის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ახალი სპორტული ინფრასტრუქტურის აშენებასა და არსებული ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაციას, ასევე აღნიშნული ობიექტების სათანადოდ გამოყენებას. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ დაიწყო ქვეყნის მასშტაბით არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის აღწერა, რომელმაც სულ მოიცვა 263 ობიექტი. აღნიშნული სპორტული ინფრასტრუქტურა მოიცავს: სპორტის სასახლეებს, სპორტულ ცენტრებს, საცურაო აუზებს, ფეხბურთის და რაგბის მოედნებს, კალათბურთის დარბაზებს, სპორტულ სკოლებსა და სხვა.

2.4 ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოები

ადგილობრივი თვითმმართველობები დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში სპორტის მიმართულებით ახორციელებენ სხვადასხვა სახის აქტივობებს, როგორიცაა; სპორტის განვითარების ხელშეწყობა, სპორტული ღონისძიებების ორგანიზება, დაფინანსება, სპორტული მოედნების მშენებლობა-რეკონსტრუქცია, სპორტული ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზების გაუმჯობესება.

მუნიციპალიტეტების დონეზე, ძირითადად სპორტული ობიექტების მართვა ხორციელდება არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირების მიერ, რომლებსაც სპორტული ობიექტები გადაეცემათ უზუფრუქტით. აუდიტის ჯგუფის მიერ მოპოვებული იქნა ინფორმაცია ფოთის, ზუგდიდის, გორის, თელავის და ქუთაისის მუნიციპალიტეტების სპორტული ინფრასტრუქტურების და მათი დატვირთვის შესახებ. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ობიექტებზე მოსახლეობის სპორტული აქტივობებში ჩართვა და მონაწილეობის მიღება არის ყველგან უფასო, გარდა თელავის მუნიციპალიტეტისა, სადაც გადასახადი მერყეობს საშუალოდ თვეში 20 ლარის ფარგლებში.

---

[10] სპორტის პოლიტიკის დოკუმენტი. 2013 წლის 22 მაისის N127 დადგენილება.

[11] 2015 წლის 6 ნოემბრის საქართველოს მთავრობის N564 დადგენილება.

ქ. ფოთში არსებული მონაცემებით ფუნქციონირებს 12 სპორტული ინფრასტრუქტურა როგორიცაა: საბრძოლო ხელოვნებათა სკოლა, ჭიდაობის კომპლექსური სასპორტო სკოლა, რაგბის სასპორტო სკოლა, ხელბურთის კლუბი, ფეხბურთის სასპორტო სკოლა, კრივის დარბაზი, კანოეს კლუბი და სხვა. ზემოთ აღნიშნულ ყველა სპორტულ ობიექტზე მიმდინარეობს რეგულარული ვარჯიშები შემდეგ სპორტის სახეობებში; ჭიდაობა, კრივი, ძიუდო, რაგბი, ნიჩბოსნობა, ფეხბურთი, ხელბურთი, ძიუდო და ტაიკვანდო.

ქ. გორში რეგისტრირებული 5 სპორტული ობიექტიდან, ფუნქციონირებს მხოლოდ ოთხი, სადაც ტარდება სპორტული აქტივობები შემდეგ სახეობებში; ძიუდო, კრივი, ჭიდაობა, ფეხბურთი, რაგბი და ტანვარჯიში, ხოლო გორის საცურაო აუზი 2014 წლიდან არ ფუნქციონირებს.

ქ. ქუთაისში სპორტული ინფრასტრუქტურა შედგება 18 სპორტული სკოლისგან და მოიცავს სხვადასხვა სპორტულ სახეობებს. სპორტული ობიექტების შენობების ზოგადი მდგომარეობა შეესაბამება სპორტული აქტივობების ჩატარებისთვის საჭირო მოთხოვნებს.

ქ. თელავში რეგისტრირებულია 5 სპორტული ობიექტი როგორიცაა; ჩოგბურთის კორტები, კრივის და ძალოსნობის დარბაზი, სპორტული კომპლექსი, ფეხბურთის სტადიონი და საჭიდაო დარბაზი.

ქ.ზუგდიდში წარმოდგენილია 3 სპორტული ინფრასტრუქტურა, სპორტული დარბაზების სახით და ერთი სტადიონი. აღნიშნულ ყველა ობიექტზე რეგულარულად ტარდება სხვადასხვა სპორტული აქტივობები. ასევე არსებობს ყინულის სახლი, სადაც მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები.

2.5 სპორტული ინფრასტრუქტურა საჯარო სკოლებში

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლებში სპორტული ინფრასტრუქტურა ძირითადად შედგება ღია სტადიონებისგან და დახურული დარბაზებისგან. სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით, საქართველოში არსებული 2,085 საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურის მდგომარეობა არის განსხვავებული სკოლებისა და რეგიონების მიხედვით. სპორტული ინფრასტრუქტურის კუთხით შედარებით ცუდი მდგომარეობაა რეგიონებში.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე, საჯარო სკოლების რაოდენობების მიხედვით ნაჩვენებია სპორტული ინფრასტრუქტურის მდგომარეობა, რომელიც მოიცავს სპორტულ დარბაზებს და ღია მოედნებს. მონაცემები ეფუძნება სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო-ს“ მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

დიაგრამა 2-1; *საჯარო სკოლებში სპორტული ინფრასტრუქტურის მდგომარეობა საქართველოს მასშტაბით*[12]



სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“, რომელიც უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რეაბილიტაცია-მშენებლობას, არ აქვს წარმოდგენილი მომავალი წლების საჯარო სკოლების სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების გრძელვადიანი და სამოქმედო გეგმა, თუმცა სსიპ-ის მიერ მიმდინარეობს ღონისძიებები საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის შესამუშავებლად, რომელშიც ასევე მოიაზრება სპორტული ინფრასტრუქტურა.

12 აღნიშნულ დიაგრამაზე მოცემულია საქართველოს მასშტაბით არსებული ყველა საჯარო სკოლა, გარდა აჭარის და აფხაზეთის რეგიონების. სპორტული ინფრასტრუქტურის მდგომარეობა ნაჩვენებია სკოლების მხოლოდ ძირითადი შენობების მიხედვით, ვინაიდან გარკვეულ სკოლებს ძირითადი შენობის გარდა აქვთ სხვა დამოუკიდებელი შენობაც. ზოგიერთი მდებარეობის ძირითადი შენობის ეზოში, ხოლო დანარჩენი შენობების დაშორება ძირითადი სკოლის შენობისგან განსხვავდება სკოლების მიხედვით. აღნიშნული შენობების რაოდენობამ სულ შეადგინა 332. ზოგიერთ შენობას აქვს დამოუკიდებელი სპორტული დარბაზი და ღია მოედანი, რომლის მდგომარეობაც გარკვეულ შემთხვევაში განსხვავდება სკოლის ძირითადი შენობის სპორტული ინფრასტრუქტურისგან.

აუდიტის მიგნებები

3 საჯარო სკოლებში სპორტის გაკვეთილები

3.1 სპორტის მასწავლებლების არასათანადო კვალიფიკაცია

საქართველოში სულ 2,085 ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლაა, სადაც სპორტის მასწავლებლების რაოდენობა შეადგენს 10,990-ს, თუმცა აქედან სპორტის სპეციალობით განათლება მიღებული აქვს 1,889 მასწავლებელს, მხოლოდ 18%-ს. სპორტის დანარჩენი მასწავლებლების ნახევარზე მეტი წარმოადგენს დაწყებითი კლასის მასწავლებლებს, ხოლო მეორე ნაწილი იმ მასწავლებლებს, რომლებსაც განათლება მიღებული აქვთ სხვა დარგებში. აღნიშნული საკითხი უარყოფითად აისახება სპორტის გაკვეთილების ხარისხზე. აგრეთვე საყურადღებოა, რომ არასწორმა ფიზიკურმა დატვირთვამ მოზარდებში შესაძლოა გამოიწვიოს სხვადასხვა ფიზიკური დაზიანებები და ტრავმები.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია **საჯარო სკოლების რაოდენობა**, სადაც სპორტის გაკვეთილებს ასწავლიან მხოლოდ კვალიფიციური სპორტის მასწავლებლები, სხვა სპეციალობის მასწავლებლები და როგორც კვალიფიციური, ასევე არაკვალიფიციური სპორტის მასწავლებლები.

დიაგრამა 3 1-1: *სკოლების რაოდენობა სპორტის მასწავლებლების მიხედვით;*



სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2016 წელს, მასწავლებელთა კვალიფიკაციისა და სკოლებში განაწილების საკითხებთან დაკავშირებით ჩაატარა სრულად ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში კადრების მართვის ეფექტიანობის აუდიტი და გასცა შესაბამისი რეკომენდაციები[13].

[13] სახელმწიფო აუდიტის სამსახურის „ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში კადრების მართვის“ ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში.

3.2 შემცირებული სპორტის საათები სკოლებში

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა და გაერთიანებული კავშირის სახელმძღვანელოს „ჯანმრთელობის გაუმჯობესება ფიზიკური აქტივობების მეშვეობით“ მიხედვით მოზარდებში და ახალგაზრდებში 5-17 წლის ასაკობრივ ჯგუფში, ყოველდღიური ფიზიკური აქტივობა არ უნდა იყოს ერთ საათზე ნაკლები, ამავე დოკუმენტით შეფასდა, რომ მოსწავლეების 80%-ის ფიზიკური აქტივობა უნდა უზრუნველყოს სკოლამ[14].

2011-2016 წლების სასწავლო გეგმის მიხედვით საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლებში სპორტი განეკუთვნება სავალდებულო საგნების ჯგუფს. სპორტის საათების კვირეული რაოდენობა შეადგენს 2 საათს, გარდა XI კლასია, სადაც დათმობილია 1.5 საათი, ხოლო ახალი 2018-2024 სასწავლო გეგმის მიხედვით, რომელიც ამ ეტაპზე მოიცავს მხოლოდ დაწყებით საფეხურს I-IV კლასებში კვირაში 3 საათს და V-VI კლასებში კვირაში 2 საათს.

მიმდინარე სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლებს აქვთ უფლება ერთი კლასის ფარგლებში განსაზღვრული ჯამური საათებიდან 25% გადაანაწილონ საგნებს შორის, რაც გულისხმობს, რომ კონკრეტულ საგანს ემატება კვირეული საათობრივი განაკვეთი, სხვა საგნის ხარჯზე, მაგალითად სპორტის საათობრივი განაკვეთი განხილული ერთი სემესტრის ფარგლებში შემცირებულია კვირაში 1 საათით 2-ის ნაცვლად, რომელიც ვრცელდება სხვა საგნებზე.

2018 წლის სექტემბრიდან, ზემოთ აღნიშნული ახალი სასწავლო გეგმის მიხედვით დაწყებით საფეხურზე, იმ შემთხვევაში, თუ სკოლას არ აქვს ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემა, რეკომენდებულია სპორტის საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების კვირეული საათობრივი დატვირთვა დარჩეს უცვლელი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოში არსებული ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების **მთლიანი რაოდენობის 31%** იყენებს ამ შესაძლებლობას სხვადასხვა კლასებში, ხოლო სპორტის გაკვეთილებისთვის განკუთვნილი 1 საათი ეთმობა სხვა საგნებს.

ქვემოთ ასახულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საქართველოს მასშტაბით არსებული ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლებიდან რამდენ პროცენტში ტარდება სპორტის 1 გაკვეთილი კვირეულად კლასების მიხედვით.

[14] http://ec.europa.eu/transparency/regexpert/index.cfm?do=groupDetail.groupDetailDoc&id=19860&no=1

დიაგრამა 3.2-2: *სკოლების პროცენტული რაოდენობა კლასების მიხედვით, სადაც სპორტის გაკვეთილი ტარდება 1 საათი*



ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია თუ რამდენ პროცენტში ტარდება თბილისში და სხვა დანარჩენ რეგიონებში სპორტის გაკვეთილი კვირაში ერთი საათი.

დიაგრამა 3.2-3*: თბილისის და საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების პროცენტული რაოდენობა, სადაც სპორტი ტარდება 1 საათი*



არსებული მდგომარეობით, საქართველოს საჯარო სკოლებში **44,529 მოსწავლეს**, რომელიც შეადგენს 9%-ს **სპორტის გაკვეთილი უტარდება 1 საათი**, საიდანაც 24,090 მოსწავლე (54%) ირიცხება თბილისში მდებარე სკოლებში.

საჯარო სკოლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ ზოგ შემთხვევაში სკოლები სპორტის გაკვეთილების 1 საათს უთმობენ საგნებს, რომლებიც უფრო პრიორიტეტულად არის მიჩნეული.

საქართველოს მასშტაბით არსებობს სკოლები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ ყველა კლასში სპორტის 2 საათიან კვირეულ დატვირთვას. აღნიშნული ძირითადად თვალშისაცემია თბილისის სკოლების მაგალითზე, ვინაიდან რეგიონებთან შედარებით, თბილისის საჯარო სკოლების სპორტული ინფრასტრუქტურის მდგომარეობა უკეთესია.

შედეგად, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლები სრულად ვერ უზრუნველყოფენ სკოლის მოსწავლეების სათანადო ინტენსივობით სპორტულ აქტივობებში ჩართვას, რამაც შესაძლოა გაზარდოს მოსწავლეებში ის რისკ ფაქტორები, რომელიც დაკავშირებულია არასაკმარის ფიზიკურ დატვირთვასთან და სპორტის, როგორც ცხოვრების აუცილებელი ნაწილის გააზრებასთან.

დასკვნა:

სკოლები არსებით როლს ასრულებენ მოსწავლეებში ფიზიკური აქტივობის აუცილებლობის გააზრებასა და სპორტის , როგორც ჯანსაღი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილის ჩამოყალიბებაში, თუმცა საჯარო სკოლების გარკვეული რაოდენობა, სხვადასხვა სასწავლო საფეხურებზე, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული დაშვების შესაბამისად ერთი სემესტრის მანძილზე ამცირებს სპორტის გაკვეთილების კვირეულ დატვირთვას ერთ საათამდე. შედეგად საჯარო სკოლებში რეგისტირებული 44,529 მოსწავლე მოკლებულია შესაძლებლობას სკოლის ფარგლებში მიიღოს საკმარისი ფიზიკური აქტივობა სპორტის გაკვეთილების სახით.

რეკომენდაცია

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა დანერგოს ისეთი მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც არ მოხდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ი დაშვების ფარგლებში სპორტის გაკვეთილების საათობრივი განაკვეთის შემცი რება. განთლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ამ მიმართულებით განხო რციელებული ინტერვენცია ხელს შეუწყობს მოსწავლეების
სპორტულ აქტივობებში თანაბარ ჩართვასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერ გვას.

3.3 არასაკმარისი სპორტის საათები საჯარო სკოლებში

ევროსაბჭოს რეზოლუციით განისაზღვრა მასობრივი სპორტის პრინციპები, რომლის მიხედვითაც, მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს მუდმივ და ეფექტურ კოორდინაციას სახელმწიფო უწყებებს შორის და მიზნად უნდა დაისახოს ერთიანი სახელმწიფო მექანიზმის ჩამოყალიბება მასობრივი სპორტის განვითარების და კოორდინაციის მხარდაჭერისთვის[15].

ევროკომისიის დოკუმენტის მიხედვით[16], რომელიც ეხება ევროპის სხვადასხვა ქვეყნების სკოლებში სპორტისა და ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებს, უმეტეს ქვეყანაში ფიზიკური აღზრდის საათები არის უმნიშვნელოდ მეტი, ვიდრე საათები რომლებიც ეთმობა საბუნებისმეტყველო და უცხო ენების გაკვეთილების. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია ევროპის სხვადასხვა ქვეყნების სკოლებში, ფიზიკურ აღზრდაზე დათმობილი წლიური საათობრივი განაკვეთები, რომლებიც ხშირ შემთხვევებში ცვალებადია სასწავლო საფეხურების მიხედვით, ასევე წლიურად თუ რა დრო აქვს დათმობილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს და უცხო ენას.

დიაგრამა 3.2-1: *სპორტის წლიური მინიმალური რეკომენდირებული განაკვეთი ევროპის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლებში და საბუნებისმეტყველო და უცხო ენაზე დათმობილი წლიური საათები.*

ქვეყანა	სპორტის საათები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	უცხო ენა
ესტონეთი	52-70	26-131	79
საფრანგეთი	108	40-162	54-144
უნგრეთი	60-83	28-139	69-83
ავსტრია	90-120	45-180	30-120
პოლონეთი	72-112	72-130	47-72
პორტუგალია	81-108	81-162	66-108
სლოვენია	67-98	90-155	53-105
დიდი ბრიტანეთი	76	65	50
ნორვეგია	68-76	46-83	46-76

სპორტის შესახებ საქართველოს კანონით, სპორტი სკოლამდელ და სასწავლო დაწესებულებებში, სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამებისა და ფიზიკური მომზადების ნორმატივების საფუძველზე სასწავლო დაწესებულება ადგილობრივი პირობებისა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით დამოუკიდებლად განსაზღვრავს ფიზიკურ აღზრდაში მეცადინეობის ჩატარების ფორმებს, მეთოდებსა და ხანგრძლივობას, რომელიც არ უნდა იყოს 4 საათზე ნაკლები, ასევე ამავე

[15] ევრო საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, რეზოლუცია(76) 41, სპორტი ყველასათვის პრინციპები
[16] http://eacea.ec.europa.eu/education/eurydice/documents/thematic_reports/150en.pdf

კანონით [17]განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებულად უნდა დაამტკიცოს სპორტი, როგორც ერთიანი სასწავლო გეგმის სავალდებულო საგანი.

საქართველოში ეროვნული სასწავლო გეგმით წლიური სპორტის გაკვეთილები შეადგენს 64 საათს (კვირაში 2 საათი), რომელიც ზემოთ ნახსენებ ქვეყნებთან და სპორტის შესახებ საქართველოს კანონში განსაზღვრულ სპორტის საათებთან შეუსაბამობაშია. შედეგად მოსწავლეები საჯარო სკოლებში არ არიან ფიზიკურ აქტივობებში საკმარისად ჩართულები, რომელიც აუცილებელია იმისთვის, რომ მომავალი თაობა აღიზარდოს ჯანმრთელი და ესმოდეს სპორტის მნიშვნელობის აუცილებლობა.

ზემოთ ხსენებულ სამინისტროებს არ აქვთ ერთიანი ხედვა საჯარო სკოლებში სპორტის გაკვეთილების საათობრივი განაკვეთის შესახებ. აღსანიშნია ის ფაქტი, რომ 4 საათიანი საათობრივი განაკვეთის თაობაზე მითითება კანონში არსებობდა 2011-2016 წლების სასწავლო გეგმის დამტკიცებამდეც და მიუხედავად ამისა უწყებებს შორის აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შეთანხება ამ დრომდე არ მომხდარა. სამინისტროებს შორის კოორდინაციის ნაკლებობასთან ერთად აღნიშნული საკითხის დარეგულირებას ხელს უშლის ის ფაქტორიც, რომ საჯარო სკოლებში სპორტის გაკვეთილები არ არის მიჩნეული პრიორიტეტად.

დასკვნა

საჯარო სკოლებში ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სპორტის გაკვეთილების საათობრივი დატვირთვა არ არის საკმარისი ჯანსაღი და ჯანმრთელი მოსწავლეების აღსაზრდელად. აღნიშნულს ადასტურებს სპორტის შესახებ კანონი, სადაც მითითებულია, რომ სასწავლო დაწესებულებებში სპორტის საათი არ უნდა იყოს 4 საათზე ნაკლები, თუმცა ამასთან დაკავშირებით სამინისტროებს შორის შეთანხმება არ მომხდარა. ეროვნული სასწავლო გეგმის და სპორტის შესახებ კანონის ჩანაწერი სასწავლო დაწესებულებებში სპორტის საათების განსაზღვრასთან დაკავშირებით ერთმანეთთან შესაბამისობაში არ მოდის, რაც მიუთითებს, რომ სამინისტროებს შორის არ ხდება სათანადო კოორდინირებული ქმედებები და ხელს უშლის საკითხის დარეგულირებას და საერთო მიზნის მიღწევას.

რეკომენდაცია

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს

იმ მიზნით, რომ საჯარო სკოლებში სათანადოდ განისაზღვროს სპორტის გაკვეთილების საათების რაოდენობა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ უნდა უზრუნველყონ კოორდინირებული ქმედებები, რომელიც ხელს შეუწყობს სპორტის საგნის პრიორიტეტად განსაზღვრას.

4. მოსახლეობის ჩართულობა ფიზიკურ აქტივობებში

4.1 სახელმწიფო სპორტული ინფრასტრუქტურის არასრული დატვირთვა

ევროკომისიის 2014 წლის ანგარიშში, სპორტი და ფიზიკური აქტივობა[18] ნაჩვენებია ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში არსებული სპორტული გარემო, მოსახლეობის აქტივობა და მიზეზები, თუ რა განაპირობებს სპორტის მიმართ მათ ინტერესს. ყველაზე ცოტა, კვირაში ერთხელ სპორტული აქტივობებით დაკავებულია ევროპის მოსახლეობის 41%, თუმცა ეს მონაცემი იცვლება ქვეყნების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ქვეყნების ფიზიკურად აქტიური მოსახლეობის 62% სპორტულ აქტივობებს ჯანმრთელობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მიმართავს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე მაგალითის სახით ნაჩვენებია ევროკომისიის კვლევის მონაცემები, ევროპის ქვეყნებში კვირის მანძილზე, თუ რამდენი დღე იყო მოსახლეობა დაკავებული ზომიერი ფიზიკური აქტივობებით.

დიაგრამა 4 1-1; *კვირის ს მანძილზე მოსახლეობის ზომიერი ფიზიკური აქტივობა*



საქართველოს სოციალური და მარკეტინგული კვლევების ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით[19], რეგულარულ სპორტულ და ფიზიკურ აქტოვობებში ჩართულია მოსახლეობის 13%.

აუდიტის პერიოდში შერჩეული 6 ქალაქიდან; თბილისი, თელავი, ზუგდიდი, ქუთაისი, გორი კვლევის შედეგად შეგროვდა მონაცემები სახელმწიფო საკუთრებაში არსებული

[18] http://ec.europa.eu/health//sites/health/files/nutrition_physical_activity/docs/ebs_412_en.pdf

[19] GESOMAR-საქართველოს სოციალური და მარკეტინგული კვლევების ცენტრი. საზოგადოებრივი აზრის კვლევა სპორტთან მიმართებაში, 2013 წლის აგვისტო-სექტემბერი.

სპორტული ინფრასტრუქტურის, მისი მდგომარეობის, მდებარეობის და სპორტულ ობიექტებზე განხორციელებული აქტივობების შესახებ.

ქ.ფოთი - სპორტულ ინფრასტრუქტურებზე 2014-2016 წლებში სულ რეგისტრირებული იყო შესაბამისად 1,230, 1,281 და 1,300 პირი, რომელებიც განეკუთვნებიან საშუალოდ 4-25 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებს. 2015 წელს სპორტულ აქტივობებში მონაწილეთა რაოდენობა გაიზარდა 4%-ით, 2014 წელთან შედარებით, ხოლო 2016 წელს 1%-ით;

ქ.გორი - სპორტულ ინფრასტრუქტურებზე 2014-2016 წლებში სულ რეგისტრირებული იყო შესაბამისად 2,109, 2,250 და 2,390 პირი, რომელებიც განეკუთვნებიან საშუალოდ 5-18 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებს. 2015 წელს სპორტულ აქტივობებში მონაწილეთა რაოდენობამ მოიმატა 7%-ით, 2014 წელთან შედარებით, ხოლო 2016 წელს დაფიქსირებულია 6% იანი ზრდა;

ქ. ქუთაისი - შეინიშნება სპორტულ აქტივობებში ჩართული პირების არსებითი მატება სხვა ქალაქებთან შედარებით. მაგალითად-2015 წელს მოსახლეობის აქტივობამ შეადგინა 3,735, 4%-ით მეტი 2014 წელთან 3,598-თან შედარებით , ხოლო 2016 წელს გაიზარდა 4,369-მდე, 16%-ით;

ქ.ზუგდიდი - 2014-2016 წლებში სულ რეგისტრირებული პირების რიცხვმა შეადგინა შესაბამისად 703, 965 და 960. ფიზიკურ აქტივობებში ჩართულობა 2015 წელს გაიზარდა 37%-ით, რაც განაპირობა ერთ-ერთი სპორტულ დარბაზის ნაწილობრივმა რეაბილიტაციამ, ხოლო 2016 წლის მონაცემები ფაქტობრივად არ შეცვლილა.

ქ. თელავი - აღნიშნულ სპორტულ ობიექტებზე რეგულარულად სპორტით დაკავებული იყო საშუალოდ 5-18 წლამდე ასაკობრივი ჯგუფები, 2014 წელს 576, 2015 წელს 575 და 2016 წელს 847 პირი. 2015 წელს ზრდა არ დაფიქსირებულა, ხოლო 2016 წელს მოიმატა 33%-ით, რაც ძირითადად გამოიწვია ეროვნული ფედერაციების მიერ სპორტის სხვადასხვა სახეობებში მწვრთნელთა ლიცენზიის კურსების გავლამ და ინფრასტრუქტურული პრობლემების გამოსწორებამ.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია შერჩეულ ქალაქებში მოსახლეობის მიერ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურის დატვირთვა 2014-2016 წლებში.

დიაგრამა 4 1-2; *სახელმწიფოს კუთვნილ სპორტულ ინფრასტრუქტურაზე ჩართული მოსახლეობის რაოდენობა*



აღნიშნული სპორტული ობიექტების მდგომარეობა შეესაბამება სპორტული აქტივობების ჩატარებისთვის საჭირო მოთხოვნებს, სადაც რეგულარულად მიმდინარეობს სხვადასხვა სპორტული აქტივობები კვირის განმავლობაში, თუმცა ისინი ბოლომდე დატვირთული არ არის.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ზუგდიდის სამი სპორტული ინფრასტრუქტურის მაგალითზე თავისუფალი საათობრივი განაკვეთები, როცა დარბაზებში არ მიმდინარეობს სპორტული აქტივობები.

ცხრილი 4 1-1; *ზუგდიდის სპორტულ ინფრასტრუქტურაზე თავისუფალი საათები*

ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
სპორტ. დარბაზი (კომბინატი)						
08:00-15:00, 19:00-21:00	08:00-15:00, 19:00-21:00	08:00-15:00, 19:00-21:00	08:00-15:00, 19:00-21:00	08:00-15:00, 19:00-21:00	08:00-10:30, 17:00-21:00	თავისუფალი
სპორტ. დარბაზი(ჭითაწყარი)						
08:00-10:00	08:00-10:00	08:00-10:00	08:00-10:00, 14:00-15:00	08:00-10:00	18:00-21:00	18:00-21:00
სპორტ. დარბაზი(ძიუდო)						
08:00-15:00	08:00-15:00, 19:00-21:00	08:00-15:00	08:00-15:00, 19:00-21:00	08:00-15:00	08:00-11:00,16:30-21:00	08:00-13:00, 16:30-21:00

დანარჩენ შერჩეულ მუნიციპალიტეტებში მდებარე სპორტულ ინფრასტრუქტურებზე არსებული თავისუფალი საათობრივი დატვირთვის შესახებ იხილეთ დანართი-2.

მიუხედავად იმისა, რომ თელავის , ქუთაისის და გორის მუნიციპალიტეტების სპორტულ ინფრასტრუქტურაზე შეინიშნება მოსახლეობის ჩართულობის ზრდა, მათი რაოდენობა

მაინც დაბალია. აღნიშნული საკითხის ანალიზისთვის გამოყენებულია სსიპ-სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგები. 2014 წლის სტატისტიკური მონაცემების შედარებისთვის აუდიტის ჯგუფმა გამოიყენა მხოლოდ 5 დან-64 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის დემოგრაფიული მონაცემები. აუდიტორული პროცედურით გამოვლინდა შერჩეული ქალაქების დონეზე, 5-დან 64 წლამდე მოსახლეობის ასაკობრივი ჯგუფიდან რა პროცენტული წილი უკავია სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ინფრასტრუქტურაზე მოსახლეობის ჩართულობას სპორტსა და ფიზიკურ აქტივობებში. შედეგები ასახულია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე.

დიაგრამა 4 1-3: *სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ სპორტულ ინფრასტრუქტურაზე ჩართული მოსახლეობის პროცენტული წილი*

ქალაქი	ასაკობრივი ჯგუფი	სულ მოსახლეობა	რეგისტრირებული პირები 2016 წელი	პროცენტული წილი
ფოთი	5 დან- 64 მდე	33,445	1,300	3.8%
ქუთაისი	5 დან- 64 მდე	117,062	4,369	3.7%
თელავი	5 დან- 64 მდე	15,498	847	5.4%
ზუგდიდი	5 დან- 64 მდე	33,542	960	2.8%
გორი	5 დან- 64 მდე	39,056	2,390	6.1%

ის გარემოება, როცა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული და მოსახლეობისთვის უსასყიდლოდ ხელმისაწვდომი სპორტული ინფრასტრუქტურა აქტივობებით არ არის სრულად დატვირთული მიუთითებს, რომ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ქმედებები მოსახლეობაში სპორტის და ფიზიკური აქტივობების მიმართულებით ცნობიერების ასამაღლებლად არ არის საკმარისი. ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზად შესაძლოა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ სახელმწიფოს ამ დრომდე არ შეუმუშავებია მასობრივი სპორტის განვითარების სტრატეგია, რომელიც მოახდენდა აღნიშნული საკითხის მიმართულებით გრძელვადიანი მიზნის დასახვას და იქნებოდა შედეგზე ორიენტირებული. ღონისძიებები ხორციელდება როგორც ცენტრალურ დონეზე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ, ასევე მუნიციპალიტეტების მხრიდანაც, თუმცა რესურსები მიმართულია ერთჯერადი ღონისძიებების ჩასატარებლად და არ ეფუძნება გრძელვადიანი მასობრივი სპორტის განვითარების რაიმე სტრატეგიას და აღნიშნული მიმართულების მიზნობრივ განვითარებას.

დასკვნა

იმ გარემოებაში, როცა მოსახლეობის ფიზიკურ აქტივობაში ჩართულობა შერჩეული მუნიციპალიტეტების ფარგლებში არის დაბალი და მერყეობს 6%-მდე, მუნიციპალიტეტების საკუთრებაში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურა არ არის სრულად დატვირთული სპორტული აქტივობებით, რაც მიუთითებს, რომ მოსახლეობა არ არის სათანადოდ ინფორმირებული ფიზიკური აქტივობების აუცილებლობის თაობაზე და შესაბამისად სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ქმედებები არ არის საკმარისი საზოგადოებაში აღნიშნული მიმართულებით ცნობიერების ასამაღლებლად.

რეკომენდაცია

მუნიციპალიტეტებს

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს

მუნიციპალიტეტებმა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ უნდა შეიმუშაონ მასობრივი სპორტის განვითარების სტრატეგია და ხელი შეუწყონ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის დატვირთვას, რომელიც გაზრდის მოსახლეობის ჩართულობას ფიზიკურ აქტივობებში.

4.2 სახელმწიფო ინიციატივის ნაკლებობა მოსწავლეების ფიზიკურ აქტივობებში სათანადოდ ჩართვის მიზნით

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებული 2014 წლის მონიტორინგის მასალებიდან ირკვევა, რომ რიგ შემთხვევებში სპორტის გაკვეთილები საჯარო სკოლებში მიმდინარეობდა საკლასო ოთახებში, ვინაიდან არის საჯარო სკოლები, სადაც არ არის სპორტული ინფრასტრუქტურა, ან მისი მდგომარეობა არ შეესაბამება სპორტის გაკვეთილის ჩატარების მოთხოვნას.

აუდიტის ანალიზის შედეგად შესწავლილ იქნა შერჩეული მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლების სპორტული დარბაზების მდგომარეობა, რომლებიც განსხვავდება სკოლებისა და ქალაქების მიხედვით. მონაცემები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე.

დიაგრამა 4 2-1; *სპორტულ დარბაზების მდგომარეობა შერჩეულ მუნიციპალიტეტებში არსებულ სკოლებში*



ქალაქ ზუგდიდის ადმინისტრაციულ საზღვრებში ფუნქციონირებს 12 საჯარო სკოლა. მოწოდებული ფოტომასალების მიხედვით გამოვლინდა, რომ დარბაზების უმეტესობა საჭიროებს სარეაბილიტაციო ღონისძიებებს, ხოლო ზოგიერთი სკოლის დარბაზში საერთოდ შეუძლებელია სპორტის გაკვეთილის ჩატარება.

ქვემოთ მოცემულ რუკაზე ასახულია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებისა და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის მდებარეობა. მანძილი სახელმწიფოს სპორტულ ინფრასტრუქტურასა და საჯარო სკოლებს შორის არ აღემატება 2კმ-ს. დანარჩენი მუნიციპალიტეტების რუკები იხილეთ დანართ 1-ში.

რუკა 4-1: *ზუგდიდის საჯარო სკოლები და სახელმწიფოს სპორტული ინფრასტრუქტურა*



სახელმწიფო ფლობს რესურსებს, მის საკუთრებაში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის სახით, რომელიც შერჩეული 5 მუნიციპალიტეტიდან მიღებული მონაცემების მიხედვით, ძირითადად დღის პირველ ნახევარში თავისუფალია (იხილეთ *ცხრილი 4 1-1*). ასევე, როგორც ზემოთ აღინიშნა საჯარო სკოლებში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის მდგომარეობა არ არის ყველგან შესაბამისი სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად.

იმ საჯარო სკოლებს, რომლებსაც არ გააჩნიათ სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად შესაბამისი პირობები, ეძლევათ საშუალება ისარგებლონ მუნიციპალიტეტების საკუთრებაში არსებული სპორტული დარბაზებით, რადგან როგორც ზემოთ აღინიშნა დარბაზები არ არის დატვირთული ძირითადად დილის საათებში.

აუდიტის ჯგუფმა გამოავლინა ალტერნატიული სპორტული ინფრასტრუქტურის გამოყენების ფაქტი, რომელიც ეხებოდა ქ.ზუგდიდის ჭითაწყარის სპორტულ დარბაზს, რომელსაც სპორტული წრეების პარალელურად იყენებს აფხაზეთის N1 საჯარო და ერთი კერძო სკოლა. თუმცა, როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად ირკვევა, საჯარო სკოლების მიერ ალტერნატიული რესურსების მოძიების შესახებ შემთხვევები არ ფიქსირდება.

დასკვნა

არსებობს საჯარო სკოლები, სადაც სპორტული ინფრასტრუქტურის მდგომარეობა არ აძლევს მათ საშუალებას ჩაატარონ სპორტის გაკვეთილები, რის შედეგადაც მოსწავლეები მოკლებულები არიან ჯანმრთელობისთვის აუცილებელ ფიზიკურ დატვირთვას. ამავდროულად სახელმწიფოს ბალანსზე ირიცხება სპორტული ინფრასტრუქტურა, რომლის სპორტული აქტივობებით სრულად დატვირთვა არ ხდება.

საჯარო სკოლების მიერ არ მომხდარა ალტერნატიული საშუალებების გამოყენება როგორც სახელმწიფო სპორტული ინფრასტრუქტურის, ასევე ინფრასტრუქტურულად უკეთეს მდგომარეობაში არსებული სკოლების სპორტული დარბაზების სახით,რომელიც ხელს შეუწყობდა აღნიშნული პრობლემის ნაწილობრივ გამოსწორებას და მეტ მოსწავლეს მისცემდა საშუალებას მიეღო სათანადო ფიზიკური დატვირთვა.

რეკომენდაცია

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მუნიციპალიტეტებს

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს საჯარო სკოლის მოსწავლეები ალტერნატიული სპორტული ინფრასტრუქტურით, რაც შესაძლებელია შერჩეულ 5 მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სპორტული დარბაზების გამოყენებით. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციის ინტენსიური თანამშრომლობის შედეგად შესაძლებელია საშუალება მიეცეთ მოსწავლეებს დაკავდნენ აუცილებელი და შესაბამისი სპორტული აქტივობებით.

შემაჯამებელი დასკვნა და რეკომენდაციები

ქვეყანაში არსებული მდგომარეობით, მოსახლეობის სპორტულ და ფიზიკურ აქტივობებში ჩართულობის მაჩვენებელი არის დაბალი, რომლის გამომწვევ ფაქტორებად შესაძლებელია განხილულ იქნას შემდეგი; არასაკმარისი სპორტის საათები სკოლებში, პროფესიონალი სპორტის მასწავლებლების ნაკლებობა, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის არასრული დატვირთვა და არასაკმარისი კოორდინაცია სახელმწიფო უწყებებს შორის, აღნიშნული საკითხის დასარეგულირებლად.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, ქვეყანაში არსებული რესურსების ფარგლებში შესაძლებელია მოსახლეობის ჩართულობის ზრდა სპორტსა და ფიზიკურ აქტივობებში, რომლის განვითარებაც მოითხოვს ერთობლივ კოორდინირებულ ქმედებებს სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურული ერთეულების მიერ. განათლებისა და სპორტის სამინისტროების თანამშრომლობა შესაძლებელს გახდის გონივრულად განისაზღვროს საჯარო სკოლებში სპორტის საათების რაოდენობა რომელიც აუცილებელია ჯანმრთელი მომავალი თაობის აღსაზრდელად.

სპორტული და ფიზიკური აქტივობების მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლება ხელს შეუწყობს მოსახლეობის ჩართულობის ზრდას სპორტულ აქტივობებში, მაშინ როცა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურა, მიუხედავად საზოგადოების ფიზიკურ აქტივობებში ჩართულობის დაბალი მაჩვენებლისა, სრულად დატვირთული არ არის.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური მიიჩნევს, რომ იმ საჯარო სკოლებს, რომლებსაც არ გააჩნიათ შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურა, აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ალტერნატიული სპორტული ინფრასტრუქტურით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეებს დაკავდნენ აუცილებელი და სათანადო ფიზიკური აქტოვობებით. მნიშვნელოვანია, რომ პროცესის გაუმჯობესების მიზნით, გამოვლენილ ნაკლოვანებებზე სახელმწიფო უწყებებმა მოახდინონ დროული და შესაბამისი რეაგირება.

შემცირებული სპორტის საათები სკოლებში

< **განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:** განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა დანერგოს ისეთი მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც არ მოხდება არ მოხდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული დაშვების ფარ გლებში სპორტის გაკვეთილების საათობრივი განაკვეთის შემცირება. განთლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ამ მიმართულებით განხორციელებული ინტე რვენცია ხელს შეუწყობს მოსწავლეებისსპორტულ აქტივობებში თანაბარ ჩართვას ა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას.

არასაკმარისი სპორტის საათები საჯარო სკოლებში

- **განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს:** იმ მიზნით, რომ საჯარო სკოლებში სათანადოდ განისაზღვროს სპორტის გაკვეთილების საათების რაოდენობა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ უნდა უზრუნველყონ კოორდინირებული ქმედებები, რომელიც ხელს შეუწყობს სპორტის საგნის პრიორიტეტად განსაზღვრას.

სახელმწიფო სპორტული ინფრასტრუქტურის არასრული დატვირთვა

- **სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს და მუნიციპალიტეტებს:** მუნიციპალიტეტებმა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ უნდა შეიმუშაონ მასობრივი სპორტის განვითარების სტრატეგია და ხელი შეუწყონ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის დატვირთვას, რომელიც გაზრდის მოსახლეობის ჩართულობას ფიზიკურ აქტივობებში.

სახელმწიფო ინიციატივის ნაკლებობა მოსწავლეების ფიზიკურ აქტივობებში სათანადოდ ჩართვის მიზნით

- **განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და მუნიციპალიტეტებს:** განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს საჯარო სკოლის მოსწავლეები ალტერნატიული სპორტული ინფრასტრუქტურით, რაც შესაძლებელია შერჩეულ 5 მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სპორტული დარბაზების გამოყენებით. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციის ინტენსიური თანამშრომლობის შედეგად შესაძლებელია საშუალება მიეცეთ მოსწავლეებს დაკავდნენ აუცილებელი და შესაბამისი სპორტული აქტივობებით.

უფროსი აუდიტორი	**ნანა ვაჩაძე**
აუდიტორ-ასისტენტი	**ირაკლი ქანთარია**

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული მასალა

საქართველოს კანონი „სპორტის შესახებ“ 1996;

საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, 2005;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს N40/ნ ბრძანება „2018-2024 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“, 2016;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს N36/ნ ბრძანება „2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“, 2011;

საქართველოს მთავრობის დადგენილება N127 „სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი“ 2014-2020;

საქართველოს მთავრობის დადგენილება N183 „საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“, 2010;

საქართველოს მთავრობის დადგენილება N564 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“, 2014;

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტი, რეზოლუცია(76)41 „სპორტი ყველასათვის პრინციპები“.

სახელმძღვანელოები და კვლევები

ევროკომისიის ანგარიში „ფიზიკური განათლება და სპორტი ევროპის სკოლებში“ 2013;

GESOMAR-საქართველოს სოციალური და მარკეტინგული კვლევების ცენტრი. საზოგადოებრივი აზრის კვლევა სპორტთან მიმართებაში, 2013;

დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სტატისტიკური ცნობარი, 2014;

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელმძღვანელო „ჯანმრთელობის გაუმჯობესება ფიზიკური აქტივობების მეშვეობით“;

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის „ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში კადრების მართვის“ ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში;

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგები, 2014;

Enlarged Partial Agreement on Sport. Draft Report of the consultative visit in Georgia on the European Sports Charter, Strasbourg , 9 October 2015.

ბმულები:

EU Work Plan For Sport 2014-2017 ხელმისაწდომია:
http://ec.europa.eu/transparency/regexpert/index.cfm?do=groupDetail.groupDetailDoc&id=19860&no=1 ;

Physical Education at School in Europe Eurydice Report ხელმისაწვდომია:
http://eacea.ec.europa.eu/education/eurydice/documents/thematic_reports/150en.pdf ;

Special Eurobarometer412, Sport and Physical Activity Report ხელმისაწვდომია:

http://ec.europa.eu/health//sites/health/files/nutrition_physical_activity/docs/ebs_412_en.pdf .

დანართები

დანართი-1

რუკა-1: *ფოთის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურა და ქალაქში მდებარე საჯარო სკოლები*

რუკა-2: *თელავის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურა და ქალაქში მდებარე საჯარო სკოლები*



რუკა-3 *გორის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურა და ქალაქში მდებარე საჯარო სკოლები*



რუკა-4 *ქუთაისის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურა და ქალაქში მდებარე საჯარო სკოლები*


Banoja
ბანოჯა
Motsameta
მოწამეთა
M17
S16
Motsameta Railway
M111
Vazha Pashavela
Kutaisi
ქუთაისი
Car Factory Railway
Chkobadze Street
E60
Lado Asatiani
Tsereteli St
Kutaisi II Railway
Leselidze Hwy
Tsageri - Lentekhi - Lasdili
Samtredia
Kea St
E60
E60
E60

დანართი-2

ცხრილი-1 *ფოთის სპორტულ ინფრასტრუქტურაზე თავისუფალი საათები*

ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
კრივის სპორტული კლუბი ლიდერი						
08:00-16:00	08:00-16:00	08:00-16:00	08:00-16:00	08:00-16:00	08:00-16:00	თავისუფალი
ხელბურთის სპორტული კლუბი ვერძი						
08:00-10:00;11:30-14:30,17:30-21:00	08:00-14:30; 18:30-21:00	08:00-10:00;11:30-14:30;18:00-21:00	08:00-10:00;11:30-14:30,18:30-21:00	08:00-14:30; 19:30-21:00	08:00-09:30; 17:00-21:00	08:00-11:00; 17:00-21:00
კომპლექსური სასპორტო სკოლა						
08:00-15:00; 18:30-21:00	08:00-13:00; 18:30-21:00	08:00-15:00; 18:30-21:00	08:00-13:00; 18:30-21:00	08:00-15:00	08:00-10:00,12:00-13:00,14:00-15:00,17:00-21:00	08:00-10:00;12:00-13:00,17:00-21:00
კრივის სასპორტო სკოლა						
10:00-16:00	10:00-16:00	10:00-16:00, 18:00-21:00	10:00-16:00, 18:00-21:00	10:00-16:00, 18:00-21:00	10:00-16:00	თავისუფალი
საბრძოლო ხელოვნებათა სპორტული სკოლა						
თავისუფალი	08:00-14:00, 19:00-21:00	თავისუფალი	08:00-17:00, 19:00-21:00	თავისუფალი	08:00-12:00, 17:00-21:00	08:00-12:00, 17:00-21:00
ჭიდაობის კომპლექსური სასპორტო სკოლა						
8:00-15:30	8:00-15:30; 18:30-21:00	8:00-15:30	8:00-15:30; 18:30-21:00	8:00-15:30	8:00-15:30	თავისუფალი

ცხრილი-2 *თელავის სპორტულ ინფრასტრუქტურაზე თავისუფალი საათები*

ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
ჭიდაობის სპორტული სკოლა						
08:00-16:00	08:00-13:00, 15:00-16:00	08:00-16:00	08:00-13:00, 15:00-16:00	08:00-16:00	08:00-13:00, 15:00-16:00, 18:00-21:00	08:00-13:00, 15:00-21:00
სასპორტო გაერთიანება ააიპ-ის კრივის დარბაზი						

08:00-10:00, 12:00-15:30, 19:30-21:00	08:00-15:30, 19:30-21:00	08:00-10:00, 12:00-15:30, 19:30-21:00	08:00-15:30, 19:30-21:00	08:00-10:00, 12:00-15:30, 19:30-21:00	08:00-10:00, 12:00-15:30, 17:30-21:00	თავისუფალი
სპორტულ კლუბთა გაერთიანება(1)						
08:00-10:00, 12:00-15:30	08:00-15:00	08:00-10:00, 12:00-15:30	08:00-15:00	08:00-10:00, 12:00-15:30	08:00-15:00	თავისუფალი
მცირე დარბაზი(2)						
11:00-14:00	08:00-20:00	11:00-19:00	08:00-20:00	11:00-19:00	08:00-12:00, 16:30-20:00	08:00-11:00, 14:30-21:00

ცხრილი-3 *გორის სპორტულ ინფრასტრუქტურაზე თავისუფალი საათები*

ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის დარბაზი						
08:00-10:00, 13:00-15:00, 19:00-21:00	08:00-11:00, 13:00-15:00, 17:00-21:00	08:00-10:00, 13:00-15:00, 19:00-21:00	08:00-11:00, 13:00-15:00, 17:00-21:00	08:00-10:00, 13:00-15:00, 19:00-21:00	08:00-10:00, 12:00-21:00	თავისუფალი
შოშიაშვილის სახელობის კრივის დარბაზი						
08:00-15:00, 19:00-21:00	08:00-10:00, 12:00-15:00, 19:00-21:00	08:00-10:00, 12:00-15:00, 19:00-21:00	08:00-10:00, 12:00-15:00, 19:00-21:00	08:00-10:00, 12:00-15:00, 19:00-21:00	08:00-10:00, 12:00-21:00	თავისუფალი

ცხრილი-4 *ქუთაისის სპორტულ ინფრასტრუქტურაზე თავისუფალი საათები*

ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
N20 ტანვარჯიშის სპორტული სკოლა						
11:00-14:00	08:00-14:00	11:00-14:00	08:00-14:00	11:00-14:00	X	თავისუფალი

N19 ჭიდაობა სპორტულ მანეჟში						
08:00-14:00	08:00-14:00	08:00-14:30	08:00-14:00, 19:30-21:00	08:00-14:00	15:00-21:00	თავისუფალი
N18 კრივის სპორტული დარბაზი						
08:00-13:00	08:00-13:00	08:00-13:00	08:00-13:00	08:00-13:00	თავისუფალი	თავისუფალი
N15 ფარიკაობის სპორტული სკოლა						
08:00-14:00, 19:00-21:00	08:00-14:00, 19:00-21:00	08:00-14:00, 19:00-21:00	08:00-14:00, 19:00-21:00	08:00-14:00, 19:00-21:00	15:00-21:00	თავისუფალი
N12 ტირის, ძალოსნობის და კარატეს სკოლა						
18:00-21:00	18:00-21:00	18:00-21:00	18:00-21:00	18:00-21:00	14:00-21:00	თავისუფალი
08:00-13:30, 19:30-21:00	08:00-13:30, 19:30-21:00	08:00-13:30, 19:30-21:00	08:00-13:30, 19:30-21:00	08:00-13:30, 19:30-21:00	08:00-12:30, 15:00-21:00	12:30-21:00
08:00-14:30, 19:00-21:00	08:00-14:30, 19:00-21:00	08:00-14:30, 19:00-21:00	08:00-14:30, 19:00-21:00	08:00-14:30, 19:00-21:00	08:00-12:00, 14:30-21:00	თავისუფალი
N11 სპორტული სკოლა						
X	08:00-11:00	X	X	X	X	13:00-15:30
ჩოგბურთის დარბაზი						
08:00-11:00, 12:30-17:00, 19:00-21:00	08:00-15:00, 19:00-21:00	08:00-11:00, 12:30-17:00, 19:00-21:00	08:00-15:00, 19:00-21:00	08:00-11:00, 12:30-17:00, 19:00-21:00	08:00-15:00	თავისუფალი

დანართი-3

სურათი 1 *ქ. გორის მე-11 საჯარო სკოლის სპორტული დარბაზი*

სურათი 2 *ქ. გორის პირველი საჯარო სკოლის სპორტული დარბაზი*

სურათი 3 *ქ. ზუგდიდის მე-2 საჯარო სკოლის სპორტული დარბაზი*

სურათი 4 *ქ.ზუგდიდის მე-10 საჯარო სკოლის სპორტული დარბაზი*

სურათი 5 *ქ. ფოთის მე-2 საჯარო სკოლის სპორტული დარბაზი*

სურათი 6 *ქ.ფოთის მე-4 საჯარო სკოლის სპორტული დარბაზი*

სურათი 7 *ქ.თელავის მე-3 საჯარო სკოლის სპორტული დარბაზი*

სურათი 8 *ქ. თელავის მე-2 საჯარო სკოლის სპორტული დარბაზი*

სურათი 9 *ქ. ქუთაისის მე-2 საჯარო სკოლის სპორტული დარბაზი*

სურათი 10 *ქ. ქუთაისის მე-3 საჯარო სკოლის სპორტული დარბაზი*

სურათი 11 *ქ.გორის შ.ჩოჩიშვილის სახელობის ცენტრალური სასპორტო სკოლა*

სურათი 12 *ქ. გორის შ.ჩოჩიშვილის სახელობის ცენტრალური სასპორტო სკოლა*